პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
პარასკევი
7 დეკემბერი
№ 280 (17625)
ფასი 2 კაპ.

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ:

რაოდენობაც, ხარისხიც

ᲤᲐᲠᲗᲝ ასორტიმენტის სურსათით — პამიდორით, ბადრიჯნით, კომბოსტოთი, ხორცით, რძით ამარაგებს თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას გარდაბნის საბჭოთა მეურნეობა. ნოემბერში ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულა საბჭოთა მეურნეობამ ყველა სახეობის პროდუქციის დამზადების წლიური გეგმა. მარტო ბოსტნეული დამზადებულია 116.500 ცენტნერი.

დიდ ქებას იმსახურებს ამ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, რომელსაც ბევრი მოღწევა აქვს, მაგრამ თავის მოვალეობად მიაჩნია მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას მაღალხარისხოვანი სურსათის წარმოების გადიდების გზაზე, თავისი წვლილი შეიტანოს მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში, რომელიც გამომდინარობს მშრომელთა კეთილდღეობის გაუჯობესებისათვის პარტიის კურსიდან.

— ამის შესაძლებლობა, — თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მ. გასანოვმა, — გვაქვს. ჩვენი მებოსტნეები, მექანიზატორები, მეცხოველეები ცუდი ამინდის პირობებშიც კი უზარ მოსავალს იწევენ. ახალი ძალ-ღონე, შემდგომი წარმატების რწმენა შეგვძინა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მკათო. შინაარსიანმა ყამოსვლამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მეცხოველეებმა 700 კილოგრამით გაზარდეს თითოეული ძროხის წველადობა და 2250 კილოგრამამდე გაადიდეს იგი.

საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის გეგმა, მეცხოველეობის პროდუქციის დასამზადებელი ოირებულების გარდა დიდი თახხა მიიღო ხარისხისათვის, მათ შორის უმაღლესი და საშუალო ნაკეთობის პორტუყვისათვის. დიდი მოგებაა მიღებული დამზადებული პამიდორის, ბაღრიჯნისა და სხვა ბოსტნეულის მაღალი ხარისხისათვის.

საგულისხმოა, რომ წარმატებანი მიღწეულია ძირითადად შრომის მაღალი ნაყოფიერების გზით. გადიდებულ ვალდებულებებს თითქმის მთელი კოლექტივი ასრულებს. აქ გადამწყვეტია მტკიცე შრომის დისციპლინა, მისწრაფება — მისცენ საშშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია. ამ ფაქტორებს ვითვალისწინებთ თითოეული ბრიგადის, თითოეული მუშის შრომის საბოლოო შედეგების შეჯამებისას. ამის შესაბამისად მათ ეძლევათ პრემიები. საბჭოთა მეურნეობის მშრომელის თვიური ხელფასი საშუალოდ 185 მანეთს შეადგენს, ხოლო მოწინავეებისა — 250-300 მანეთს.

ფართოდ არის გაშლილი საბჭოთა მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრება. ინდივიდუალურ თუ ბრიგადულ ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს კონკრეტული მონაცემები, მნიშვნელოვანი რეზერვები.

დეკემბრის ამ დღეებში ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება იმისათვის, რომ კოლექტივმა ღირსეულად აღნიშნოს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი, შეასრულოს ახალი გადიდებული ვალდებულებანი: ბოსტნეულის ჰექტარობრივი გამოსავლიანობა გაზარდოს 350 ცენტნერამდე, წველადობა — 2500 კილოგრამამდე, აამაღლოს მარცვლეულის, ხილის, ყურძნის მოსავლიანობა, დაამზადოს მეტი ხორცი, მიიღოს მილიონ-ნახევარი მანეთი მოგება.

(საქინფორმი).

ᲤᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ 25 ᲓᲦᲔ

ᲞᲐᲛᲤᲚᲔᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ᲗᲣᲗᲛᲔᲢᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ახალი მიღწევებით დავამთავროთ სამეურნეო წელი!

რესპუბლიკის მეციტრუსეთა წარმატება

რესპუბლიკის მეციტრუსეებმა შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. ოპერატიული მონაცემებით, უკვე დამზადებულია 163 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი, მაშინ როცა სახალხო-სამეურნეო გეგმა 151 ათას ტონას, ხოლო ვალდებულება 160 ათას ტონას ითვალისწინებს.

აჭარის მეციტრუსეებმა 100 ათას ტონაზე მეტი ნაყოფი დაამზადეს. დამზადების ტემპი აქ ისეთია, რომ სულ რაღაც ორიოდე დღის შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკა შეძლებს ოთხ წელიწადში შეასრულოს ციტრუსების დამზადების ხუთწლიანი გეგმა.

მაღალ მაჩვენებლებს აღწევს აფხაზეთის ასსრ და მახარაძის რაიონის ბევრი მეურნეობა. აფხაზეთის მეციტრუსეებმა უკვე დაამზადეს 30 ათასამდე ტონა ციტრუსი, მაშინ როცა გეგმა 36 ათას ტონას ითვალისწინებს. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დამზადების მოცულობა სულ ცოტა 40 ათას ტონამდე გაზარდონ. რაც შეეხება მახარაძის რაიონის მეციტრუსეებს, მათ უკვე თითქმის ერთ-ნახევარჯერ გადაჭარბეს გეგმით გათვალისწინებულ დამზადების დავალებას და იბრძვიან იმისათვის, რომ გეგმით გათვალისწინებული 17 ათასი ტონის ნაცვლად სულ ცოტა 35 ათასი ტონა ხარისხოვანი ნაყოფი დამზადონ.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს დავალება აგრეთვე ლანჩხუთის რაიონის მეციტრუსეებმა, ვეგმით გათვალისწინებულ დავალებათა განაღოდების და გადაჭარბებით შესრულების შესაძლებლობა აქვთ მეციტრუსეობის სხვა რაიონებსაც — ზუგდიდის, ხობის, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონებს.

5 დეკემბრისათვის საკავშირო ფონდში გეგმით გათვალისწინებული 85,4 ათასი ტონა ციტრუსის ნაცვლად უკვე გაგზავნეს 90 ათასი ტონა.

რესპუბლიკაში გრძელდება ციტრუსების კოეფა. ციტრუსოვანთა რესურსები ადგილებზე ისეთია, რომ უნდა მოველოდეთ გეგმის დამატებით კიდევ 90-95 ათასი ტონის დამზადებას, ანუ მთლიანად რესპუბლიკაში დამზადების მოცულობის გაზრდას 255-260 ათას ტონამდე, ყოველივე ეს სამეურნეო მუშაკებს ამოცანად უსახავს არ დაუშვან მოსავლის დანაკარგები და გაფუჭება. ამ საქმეში საჭიროა შეთანხმებული მუშაობა, რომლის დროსაც დამამზადებელთა, ვაჭრობის მუშაკთა, გადამამუშავებელი მრეწველობისა და განსაკუთრებით ტრანსპორტის მუშაკთა მთელ შესაძლებლობებს გამოიყენებენ. (საქინფორმი).



საპატიო წოდება

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲝᲩᲘᲚᲐᲕᲐ — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი მიღწევებისათვის **„სსრ კავშირის სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება მიენიჭა ზურაბ ლავრენტის ძე **სოტკილავას** — სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტს.

29 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ სამთამადნო კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ ახალი ითხვიხის მაღაროთამამართველოს კოლექტივმა მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა შეასრულა. დავალების გადაჭარბებით გამოშვებულია 30 ათასი ტონა მანგანუმის მადანი.

მათ შორის, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ წარმატებაში, უწინარესად ძმებს ტალახაძეებს ასახელებენ. მათ უკვე დიდი ხანია შეასრულეს პირადი ხუთწლედები და გადაწყვიტეს ახალ, 1980 წელს, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის, გეგმის შესრულებით შეხვდნენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲡ: მოწინავე გვირაბგამყვანები — ძმები ჯანო, ლევან, რუბენ და იური ტალახაძეები.

ა. მაჰაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲚᲘᲡ

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔᲨᲘ

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲐ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს თუ ეწვევით, თქვენს წინაშე გადაიშლება სიუჟეტის ქალაქის შესანიშნავი პანორამა. აქ კომკავშირული და პიონერული კადრების და აქტივის მომზადებისა და გადამზადების რესპუბლიკური ცენტრი განლაგდა. ქალაქის მშენებლობა გრძელდება და იგი სულ უფრო შლის მხრებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიდი მხარდაჭერითა და ხელშეწყობით თვალთათვალ იცვლება მისი იერსახე.

ყოველი დღე ახალ სტრიქონს წერს კომკავშირული ქალაქის ბიოგრაფიაში. თითქოს სულ ახლახან იყო, რომ აქ პირველი მსმენელები მიიღო რესპუბლიკურმა კომკავშირულმა სკოლამ, და უკვე მთავრდება ასეთივე სკოლის მშენებლობა პიონერული მუშაკებისათვის, აგრეთვე სასკოლო კომკავშირული აქტივისა და სტუდენტური სამშენებლო რაზმების ორგანიზატორებისათვის განკუთვნილი მუდმივმოქმედი ბანაკის ოცი კოტეჯის მშენებლობა... და ყოველივე ეს, უმთავრესად, ახალგაზრდების მარჯვენით კეთდება. უს დიდებული სასტუმროც, მწვანე თეატრიც, სპორტული კომპლექსიც, ეს მოედნები, ქუჩები და პროსპექტებიც, ეს ლაჟვარდოვანი ტბაც, რომელსაც დიდ სამამულო ომში დაღუპულთა დიდების მემორიალი დაჰყურებს — ეს ყველაფერი აგრეთვე ახალგაზრდების ნახელავია, შაბათობების და კვირაობებზე მათი დამკვრელური შრომის საუოფია. ეს შესანიშნავი სამხედრო-სპორტული კომპლექსიც, რომელიც 5 დეკემბერს ჩადგა მწყობრში, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდული შემართებისა და ენთუზიაზმის შედეგია. კომპლექსის სწრაფად მშენებლობაში ახალგაზრდა მშენებლებს შაბათობებზე დაეხმარნენ კომკავშირელი მეომრები, რომლებმაც საქართველოს კომკავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების აღსანიშნავად გადაწყვიტეს თავისი შრომითი ნობათი მოემზადებინათ მისთვის. ამ ჩინებულად აღჭურვილ კომპლექსში ყველა პიროობაა შექმნილი ახალგაზრდების სამხედრო-სპორტული სწავლებისა და ფიზიკური წრთობისათვის. აქ შეიძლება იფარჯაოშოს მათ კომპლექსის მრავალჭიშაში, მოამზადონ სამხედრო-სპორტული თამაშები— „დაფინონსა“ და „მართვეს“ — მონაწილეონ.

ერთი სიტყვით, ნობათი ჩინებული გამოდგა. და ეს ერთსულოვნად აღიარა სამხედრო-სპორტული კომპლექსის საზეიმო გახსნის ყველა მონაწილემ. აქ გამართულ მიტინგზე გამოსვლის დროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ადიანიკამ გულითადი მადლობა გადაუხადა მეომრებს კომპლექსის მშენებლობაზე თავდადებული შრომისათვის და აღუთქვა დამსწრეთ, რომ რესპუბლიკის კომკავშირი ყოველ ღონეს იხმარს ახალგაზრდობის სამხედრო-სპორტული აღზრდის საქმის შემდგომი გაუჯობესებისათვის.

არმიისა და ხალხის უოლვე ერთიანობაზე, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის სრულ მზადყოფნაზე ილაპარაკეს თავის გამოსვლებში გვარდიის რიგითმა ჯარისკაცმა ა. მარიუტინმა და რესპუბლიკური კომკავშირული სკოლის მსმენელმა, თბილისის № 2 მექანიკური ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ი. რატიშვილმა. აქვე, მიტინგზე, საქართველოს კომკავშირული და პიონერული კადრებისა და აქტივის მომზადებისა და გადამზადების რესპუბლიკური ცენტრის დირექტორმა მ. ჭანტურიამ გადაეცა სამხედრო-სპორტული კომპლექსის სიმბოლური გასაღები.

სამხედრო-სპორტული კომპლექსი დაათვალიერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ, ამხანაგებმა გ. ენუქიძემ, ო. კულიშვილმა, თ. მენთეშაშვილმა, ს. ხაბეიშვილმა, ი. შარტავამ. (საქინფორმი).

ᲫᲛᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

სამხრეთ ოსეთის დღეები აჭარის ასს რესპუბლიკაში

დარიანმა დღემ და ქაშაშა მზემ ამ შეხვედრას განსაკუთრებული ლაზათი შესძინა. ბათუმის ვაგზლის ბაქანზე ფრიალებდა ალისფერი დროშები, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სადიდებელი ტრანსპარანტები. მაღლა აღემართათ ლოზუნგები „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მზიურ აჭარაში!“, „გაუმარჯოს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას!“. ყველგან მოჩანდა ყვავილები, ისმოდა სიმღერები, უკრავდა მეზღვაურთა ორკესტრი. ასე მიესალმებოდნენ მშრომელი აჭარის წარმომადგენლები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დელეგის მონაწილეებს.

სტუმრებს დახვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დიასამიძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უნგიაძე, ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ჩამოსულთა შორის არიან დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯ. მარდანოვი, მუგუთის კოლმეურნეობის მექანიზატორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კ. ქელეხსაევი, ქარხანა „ემალსადენის“ დირექტორი ფ. ბეკოევი, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ი. ბაგლოითი, საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი კ. მარგიევი, პოეტი ბ. ძოდაევი, მხატვარი ბ. ალტუნიკი, კომპოზიტორი ი. ბლიევა. საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჯანაევი და სხვები — სულ 150-ზე მეტი კაცი.

აჭარის ასს რესპუბლიკაში სამხრეთ ოსეთის დღეების პროგრამა ფართო და მრავალფეროვანია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინისადმი უდიდესი პატივისცემისა და უსაზღვრო სიყვარულის ნიშნად სამხრეთ ოსეთის დელეგაცია და აჭარის მშრომელთა წარმომადგენლები პირველად ბათუმის ცენტრალურ მოედანზე მივიდნენ ლენინის ძეგლთან. ამ ფოთლებით შემოსილ ბრონზის ბრიყვ ბალიშზე ბრონზის ბრიყვ ბალიშზე ბრონზის ბრიყვ ბალიშზე

პარტიული ცხოვრება:

ეკონომიკა და კომუნისტები

ალვზარდოთ წარმოების ადამიანი

ქალაქში სანიმუშო წესრიგის დამყარება, მისი ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა მეტად რთული, მრავალმხრივი, კომპლექსური ამოცანაა, რომლის გადაწყვეტისათვის ბრძოლა ისევ და ისევ ადამიანზე ზრუნვით იწყება. სანიმუშო, ეკონომიკურად განვითარებული ქალაქი სწორედ ხალხის მარჯვენით, ხალხისათვის შენდება. ენთუზიასტი, გულგრილი ადამიანები დიდ საქმეს ვერ გააკეთებენ. ამიტომ ადამიანთა აღზრდა, მათი იდეური, შრომითი და ზნეობრივი წრთობა ჩვენი საქალაქო პარტიული კომიტეტის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი და უპირველესი ამოცანაა. თასდაოთხმეტი სამსახური გაგვიწია ამ მხრივ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

ტყვარჩელის სამრეწველო საწარმოებში საგეგმო მაჩვენებლები წელსაც ისევე სტაბილურია, როგორც მთელი ხუთწლიდის განმავლობაში, მარტო მეშახტეებმა მეათე ხუთწლედის 3 წელიწადსა და 11 თვეში გეგმის გადამეტებით 178 ათას ტონამდე ქვანახშირი ამოიღეს, ხოლო ნახშირმამდიდრებლებმა რუსთაველ მეტალურგებს დაავალეს გადამეტებით 87 ათას ტონამდე კონცენტრატი გაუგზავნეს.

ჩვენი ქალაქი იზრდება და ვითარდება როგორც აფხაზეთის სამრეწველო ცენტრი. ამ ბოლო ხანს მეწყობრში ჩადგა სამსხვრევ-სანარისხებელი ფაბრიკა, დოლომიტის მაღაროს ტექნიკური და საყოფაცხოვრებო ბლოკები, მუკის და ტექნოლუბრის დანერგვას. ყველას ახსოვს დღეები, როდესაც აქ სამპროდუქტოვანი ჰიდროტექნიკური დანადგარი დაამონტაჟეს. ეს სიახლე იყო და ყველამ ერთბაშად როდი აღწმუნა მისი მნიშვნელობა. კომუნისტებმა, ფაბრიკის აქტივმა ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიეს, მშრომელებს გააცნეს ჩვეულებრივი ქვანახშირის გადამუშავების ზრდის პერსპექტივა. და დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტყვარჩელის ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკა სიმძლავრის გაუოდიდებლად დღე-ღამეში 4 ათას ტონამდე ქვანახშირს გადაამუშავებს და შეუფერხებლად მიაწვდის კოქსოცენტრატს რუსთაველ მეტალურგებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეს წარმოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია, შრომის პირობების გაუმჯობესება წმინდა საწარმოო პრობლემად აღარ ითვლება. ეგი უფრო ღრმა სოციალურ-ზნეობრივ ხასიათს იძენს. შრომის ხასიათის შეცვლა, წარმოების მოდერნიზაცია მოითხოვს მუშაკთა ზოგადი განათლებისა და პროფესიული დონის უფრო და უფრო ამაღლებას. ამიტომ ჩვენ მუშები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, სწავლობენ მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა კურსებზე. ადამიანთა ინტელექტუალური პოტენციალის ზრდა, წარმოების და მართვის კულტურისადმი მაღალი მომთხოვნელობა, თავისუფალი დროის პრობლემა, მომსახურების კულტურა პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხებად მიგვაჩნია. პარტიის საქალაქო კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ამ საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

ტყვარჩელელთა კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებას ემსახურება 24 ბიბლიოთეკა, რომელთა ფონდში 245.370 წიგნია, ენერგეტიკოსთა კულტურის სასახლე და სახლი, კლუბები, წითელი კუთხეები. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თითქმის ყველა ოჯახში ციმციმებს „ცისფერი ეკრანი“, რომ ყოველ ათას მცხოვრებზე 1.300 ეგზემპლარი ჟურნალ-გაზეთი მოდის და სხვ.

ჩვენი პარტიული ორგანიზაცია ცდილობს, არსებული შესაძლებლობებით რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს მშრომელთა მატერიალური, კულტურული, სულიერი მოთხოვნილებანი. იმასაც აქვს მნიშვნელობა, თუ რა გარემოში ცხოვრობს და შრომობს მუშაკი. ჩვენი ქალაქი თვალდათვალ იზრდება, გულს ახარებს ახალი საცხოვრებელი სახლები, ზაღეს და პარკები აღმართული ძეგლები და ობელისკები, მთავრდება შიდასაქალაქო სამგზავრო საბაგირო გზის მშენებლობა, 1980 წელს აშენდება დიდი საცურაო აუზი და სხვა.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზე გვაქვს და ჩვენს მუშაობაში ნაკლოვანებებს ვერ ვხედავთ. ვიცით, რომ პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციათა ღონისძიებანი ყოველთვის არ იძლევა სასურველ ეფექტს, ეს განსაკუთრებით ითქმის აღმზრდელობითს სფეროზე. პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები ყველგან რეგულარულად არ აანალიზებენ მშრომელების კოლექტივის წინაშე მდგომ ამოცანებს, მათს აქტიურობას. ახალი იმპულსი უნდა მიეცეს აგრეთვე დევიზს „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!“; შესასწავლია ადამიანთა თავისუფალი ორგანიზაციის საკითხი, სრულყოფა სჭირდება სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ორგანიზაციათა მუშაობას და მრავალ სხვას. ერთი სიტყვით, გასაკეთებელი ბევრია, და ეს პარტიის საქალაქო კომიტეტის, პირველადი ორგანიზაციების დიდ მუშაობას მოითხოვს. მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ იმ მიზნებს, რომლებსაც ვსახავთ, მხოლოდ ეს არის წარმატების უტყუარი გარანტია.

ვ. ავიძბა,
საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

მუვიდოგისა და პროგრესის ხმა

კაცობრიობის ყველაზე სამართლიანი იდეალებისათვის — მშვიდობისა და პროგრესის იდეალებისათვის მებრძოლი საბჭოეთის შესახებ სიმართლეს აუწყებს მილიონობით საზღვარგარეთელ მსმენელს საბჭოთა რადიო. იგი 77 ენაზე აწარმოებს გადაცემებს.

ᲛᲘᲕᲒᲐᲥᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ—ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲐᲡ:

გადავაქციოთ 1980 წელი დამკვრელური მუშაობის, ლენინური მუშაობის წლად!

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲚᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 110-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ:

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ — 1980 ᲬᲚᲘᲡ 22 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

„კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, რომ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი—მოსკოვის საწარმოთა მოწინავე მუშებმა გამოიჩინეს პატრიოტული თაოსნობა — ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად დევიზით: პირადი ხუთწლიანი გეგმები და ვალდებულებები — 1980 წლის 22 აპრილისათვის!

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მიერ მოწონებულ ამ ინიციატივას თავდაპირველად ლენინგრადის, კიევის, მინსკისა და სვერდლოვსკის მშრომელებმა დაუჭირეს მხარი. შემდეგში მას ჩვენი ქვეყნის ასიათასობით შრომითი კოლექტივი გამოეხმაურა. დედაქალაქელთა ეს წამოწყება მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისა და სოციალისტური შეჯიბრების დროშა გახდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა ამ შეჯიბრების დიდ მნიშვნელობას და მოუწოდა საბჭოთა მშრომელებს: „გადავაქციოთ 1980 წელი დამკვრელური მუშაობის, ლენინური მუშაობის წლად“.

ამ განყოფილებაში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ რამ შეუწყო ხელი დედაქალაქის მშრომელებს წარმატებით იღვწოდნენ ლენინურ შრომითს ვახტზე.

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲛᲗᲐᲕᲘᲪᲔ მუშურ სიტყვას სასურველი საქმიანი შედეგი მოჰყვა. გმირი ქალაქის მშრომელებმა წარმატებას მიაღწიეს კომუნისტური მშენებლობის ყველა ასპექტზე. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა დარგების განვითარების საქმეში. არც ერთ წუთს არ შენელებულა ბრძოლა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად. წარმატებით სრულდება მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ შეიმუშავა.

მოსკოველები, როგორც ყოველთვის, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან. შრომითი კოლექტივების თავდადების შედეგია, რომ ქალაქის მეურნეობის ყველა დარგი წარმატებით ასრულებს როგორც საგეგმო დავალებებს, ისე სოციალისტურ ვალდებულებებს.

გმირი ქალაქის მშრომელების მეცადინეობა იმის შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ უნდა იბრძოლო პარტიის მიზანდასახულობათა განსახორციელებლად. ხუთწლედის განვლილ სამ წელინადცა და ათ თვეში ქალაქის წარმოების მოცულობა 16,8 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება 14,7 პროცენტით გაიზარდა, რაც გათვალისწინებულს საგრძნობლად სჭარბობს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასობით მილიონი მანეთის პროდუქცია, ამასთან მკვეთრად გაუმჯობესდა მუშაობის თვისებრივი დონე. დიდი მოცულობის სამუშაოები სრულდება მრეწველობის საწარმოთა რეკონსტრუქციისა და განახლებისათვის. ამ ხნის განმავლობაში ამოქმედდა 1,5-ჯერ მეტი ძირითადი საწარმოო ფონდები, ვიდრე წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდში. შესამჩნევად გაიზარდა შრომის ელექტროაღჭურვილობა, გაუმჯობესდა დანადგართა პარკის სტრუქტურა, გეგმაზომიერად ინერგება წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, ხდება ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისება.

მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად ლენინურ ვახტზე ახლა მოსკოვის მრეწველობის 250 ათასი მუშა, 8 ათასი ბრიგადა, უბანი და საამქრო დადგა. განსაკუთრებული შემართებით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება „ზილის“, „დინამოს“, სსრკ 50-ე წლის სახელობის ავტომატური ხაზების, „ზარიას“ ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანებებში, ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელ და „წითელი პროლეტარის“ ქარხნებში, სოლოვიოვის სახელობის მტკიცე სხმულებისა და „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ კომბინატებში.

მრეწველობის მუშაკებს არც ქალაქის მშენებლები ჩამორჩნენ: 1980 წლის 22 აპრილისათვის ხუთწლიანი გეგმის შესრულება 30 ათასმა ინდივიდუალურად მომუშავემ და ორი ათასმა ბრიგადამ იკისრა. აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტრანსპორტის მუშაკებიც. ამ შრომითს მეტოქეობაში პირველობას ერთმანეთს 30 ათასი კაცი ეცილება.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ დღეისათვის 32 ათასმა მოსკოველმა შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმები, საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ დედაქალაქის არც ერთი მშრომელი არ გატეხს სიტყვას და ღირსეულად შეხვდება ვ. ი. ლენინის სახელოვან იუბილეს.

სიტყვას ვაძლევთ სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთ:

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ „ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲑᲐ“

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა გაორკეცებული ენერგიით იბრძვის, რათა ღირსეულად აღნიშნოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი. საწარმოს 700 მუშას გადაწყვეტილი აქვს ამ თარიღისათვის შეასრულოს პირადი ხუთწლიანი გეგმები. აღსანიშნავია, რომ ბევრმა მათგანმა უკვე დიდი ოქტომბრის რევოლუციის 62-ე წლისთავისათვის უპატაჟა საშობლოს ნაკისრ ვალდებულებათა განადღება.

ამწყობ ზეინკალთა ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, დამკვრელთა რიგებშია. კამის საავტომობილო ქარხანას ერთი თვის გრაფიკის გასწრებით დავუმზადეთ 11 ავტომატური ხაზი, ასევე ვადამდე ვასრულებთ სოფლის მეურნეობის მშრომელთა შეკვეთებსაც. სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოშვებული ნაწარმი პროდუქციის საერთო მოცულობის 50 პროცენტს შეადგენს.

ჩვენ ვამაყობთ, რომ ქარხანაში დამზადებულ ტექნიკას დიდი სიკეთე მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის, შრომას უმსუბუქებს ადამიანს. მარტო მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ჩვენი ნაკადური ხაზების დანერგვამ და გამოყენებამ 19 ათასი კვალიფიციური მეჩარხის შრომა დაზოგა.

და იცით, რა არის ჩვენი გამარჯვების მთავარი „საიდუმლოება“?

საწარმოს ტექნიკური ბაზის სრულყოფა და მისი შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენება, თითოეულ სამუშაო ადგილზე შინაგანი რეზერვების გამოვლინება, შრომის დისციპლინის განმტკიცება. ჩვენ ვმუშაობთ დევიზით: „გადავაქციოთ უმაღლესი ეკონომიური ნორმად!“.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ ზემოთ ხედავთ მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების მოწინავე ადამიანებს. ესენი ის მუშები და სპეციალისტები“არიან, რომლებიც პირველთა შორის ჩაებნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და სამაგალითო შედეგებსაც აღწევენ.

ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲘᲓᲐᲜ: მე-15 ტაქსომოტორების პარკის მძღოლი ლ. კოლპაკოვი; სახლთსაშენებელი კომბინატის მშენებელთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ა. სუროვიევი; ფაბრიკა „სპორტტრიკოტაჟის“ უფროსი კონტროლიორი ტ. ზაბელინა; ქარხანა „ნამგალი და უროს“ თერმული ღუმელების ჩამტვირთავი ი. მიმონოვი და ამავე საწარმოს მთავარი ტექნოლოგი ი. ვინოგრადოვი.

შემხვედრი გეგმების შემუშავება, კოლექტივში მათი საჯარო განხილვა და შემდეგ დამტკიცება ტრადიციად იქცა. ამან საწარმოო დანაკარგების გარეშე მუშაობის საშუალება მოგვცა. და რაც მთავარია, სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველგვარი ფორმალიზმის აღმოფხვრამ ჩვენი ქვეგანაყოფების კოლექტივები რიტმულად აამუშავა, რამაც განაპირობა, რომ ახლა ჩვენ 1981 წლის ანგარიშში ვმუშაობთ.

Ა. ᲨᲣᲛᲘᲚᲙᲘᲜᲝ,
ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირი.

ᲡᲐᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲝ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗ

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ვარ, რომ ქვითიოშობილურ საქმეს ვემსახურები. უკვე რამდენი ათეული წელია, რაც ვაშენებ, და მაინც ყოველთვის ვღელავ, როცა დამთავრებულ ბინაში ახალმოსახლეობას ზეიმობენ. როგორ მოეწონებათ ჩვენი ნახელავი, კანი ხელმძღვანელობს, დასაბამი მისცა სოციალისტური შეჯიბრების ახალ ფორმას: „შეკეთებული ვაგონები — გარანტიის პასპორტით“. ნოვატორის ეს ინიციატივა დიდად დაგვეხმარა მნიშვნელოვნად გაგვეზარდა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი და, რაც მთავარია, მკვეთრად გაგვეუმჯობესებინა მოძრავი შემადგენლობის ხარისხი.

გვახარებს ის ფაქტიც, რომ ჩვენი მეთოდით მუშაობას სასურველი შედეგი მოაქვს ლენინგრადის, კიევის და ხარკოვის კოლექტივებისთვისაც, რომლებთანაც სოციალისტურ შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული. გვინდა ეს გამოცდილება თბილისელ კოლეგებსაც გავუზიაროთ და თუ მოისურვებენ, შრომითს პაექრობაშიც გამოვიწვიოთ. ამით ორივე მხარე მოვიგებდით. ჩვენც გავიზიარებთ იმას, რაც კარგი აქვთ თბილისის ტრამვაის დეპოს მუშაკებს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში სუკეთესო ეკონომიკური შედეგების მიღწევისათვის წარმოების ყველა რგოლის კოლექტივი იბრძვის. წლეულს ათ თვეში დეპოდან ხაზზე 1236 ვაგონით მეტი გავიდა, ვიდრე ეს გეგმით იყო ნავარაუდევი, ვფიქრობთ, მომავალში ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გავზარდოთ და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

Ი. ᲓᲠᲝᲖᲓᲘ,
მოსკოვის ავტოკოვის სახელობის ტრამვაის დეპოს პარტბიუროს მდივანი.

ᲩᲔᲛᲘ ᲛᲣᲨᲣᲠᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜ საწარმოს კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირში. იგი ქვეყნის საფიქრო მრეწველობის ფლაგმანია. კომბინატის კოლექტივი არაერთხელ გამოსულა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების დანერგვის ინიციატორად, რაც დიდად გვეხმარება მაღალი ეკონომიკური შედეგების მიღწევაში.

დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების თაოსნობას ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შესახებ ჩვენი კოლექტივი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა და ახალი გაზრდილი ვალდებულებები იკისრა.

ამ შრომითს მეტოქეობაში 500 მუშა ჩავებით. ყოველი ჩვენგანი წარმოების ნოვატორია, და არაერთხელ დაგვიმტკიცებია, რომ ჩვენს სიტყვას საქმე მოსდევს.

ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეისათვის საწარმოს 200-ზე მეტმა სხვადასხვა პროფესიის მუშამ უკვე უპატაჟა სამშობლოს მეათე ხუთწლედის დავალების შესრულება. მათ შორის არიან მქსოველები — სოციალისტური შრომის გმირი ვ. პოგიბელევა, ს. საბიტოვა, გ. შილინა, ნ. შჩერბაკოვა, ნ. პავლოვა, რ. ანდრეევა, ნ. პანტელეევა და მრავალი სხვა. ბევრ მათგანს „მეათე ხუთწლედის დამკვრელის“ სატიტო წოდება მიენიჭა.

ეს მიღწევები წარმოების ტექნიკური დონის განუწყვეტელი ამაღლების შედეგია. ხუთწლედის დამდეგიდან კომბინატის საამქროებში დაიდგა და მოდერნიზებულია 250 საქსოვი დაზგა და სხვა მანქანები. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი საქსოვი კორპუსი, დაინერგება რაციონალიზატორული წინადადებები, რომელთა უმთავრესი მიზანია მანქანა-დანადგარების მწარმოებლობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლება.

კომბინატის საერთო წინსვლაში მეც შემაქვს მცირეოდენი წვლილი. ნორმით გათვალისწინებული მ დაზგის ნაცვლად 10-ს ვემსახურები და ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 50 მეტრ ქსოვილს ვუშვებ. ამან საშუალება მომცა წლეულს ივლისისათვის შემესრულებინა იქვსი წლის დავალება. მაგრამ ეს ზოგიერი როდია, გადავწყვიტე, მეათე ხუთწლედის ბოლომდე დარჩენილ დროში კიდევ ორი წლის პირადი გეგმა შევასრულო.

მოხარული ვართ, რომ მოსკოველთა ინიციატივას ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შესახებ ფართოდ გამოეხმაურნენ ლენინგრადისა და სვერდლოვსკის მშრომელები. მჯერა, რომ ჩემი ქართველი კოლეგებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ საიუბილეო შეჯიბრებაში და ყოველდღიურად სულ ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწევენ. დიდად მეამება, თუ რომელიმე მათგანი მიიღებს ჩემს გამოწვევას და ამის შესახებ გავაფორმებთ პირადი სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას.

ნ. ᲙᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐ,
კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ მქსოველი, კომუნისტური შრომის დამკვრელი.

ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲝᲑᲘᲗ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲘ, ტრადიციისამებრ, ყოველთვის შრომითი აღმავლობით ხვდებიან ღირსშესანიშნავ მოვლენებს დიადი საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში და განსაკუთრებით დიდი ლენინის სახელთან დაკავშირებულ თარიღებს.

ჩვენი ავტოკომბინატის კოლექტივმა ლენინურ შრომითს ვახტზე უკვე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. დღეისათვის 120-მა მძღოლმა, რომლებიც პირველნი ჩაებნენ ვ. ი. ლენინის იუბილესადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, შეასრულეს პირადი ხუთწლიანი გეგმები და უმატეს შრომის ტემპს.

მძღოლთა ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ჩვენს ქვეყანაში პირველმა დაიწყო იჯარული მეთოდით მუშაობა ტრანსპორტზე და საგრძნობ შედეგსაც მიაღწია. ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა 15 აგვისტოს შევასრულეთ და დღეისათვის გეგმის გადამეტებით 53 ათასი ტონა სამშენებლო მასალა გადავზიდეთ. მიღწეული შედეგების ანალიზმა დაგვანახა, რომ ხუთწლიან დავალებას ვ. ი. ლენინის იუბილესათვის კი არა, როგორც ამას ვითვალისწინებდით, არამედ ერთი თვით ადრე გავანაღდებთ.

ახლა ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი ავტოკომბინატის მთელი კოლექტივია ჩაბმული. 500 მძღოლმა კაპიტალური რემონტის ჩაუტარებლად იკისრა ავტოგარბენის გადიდება.

კარგ შედეგებს ვაღწევთ მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებულ შრომითს მეტოქეობაშიც. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მარტო წლეულს ათ თვეში 294 ათასი ლიტრი საწვავი და 150 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სათადარიგო ნაწილები და აგრეგატები დავზოგეთ. მიღწეულები, როგორც ხედავთ, საგრძნობია, მაგრამ ეს სრულებითაც არ მიგვაჩნია საკმარისად, ჩვენ შეგვიძლია და გამოვავლინეთ კიდევ ასი რეზერვები და მაქსიმალურად გამოვიყენებთ. გამოვნახავთ გზებს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის და გადავზიდვების მოცულობათა გასადიდებლად.

მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ავტოკომბინატის სულ ახალი და ახალი უბნების კოლექტივები ებმებიან. ჩვენ მზად ვართ შრომითს მეტოქეობაში გამოვიწვიოთ ქ. თბილისის ნებისმიერი ავტოსატრანსპორტო საწარმო.

Ე. ᲤᲔᲓᲘᲣᲜᲘᲜᲘ,
„მთავარმოსკოვავტოტრანსის“ № 29 ავტოკომბინატის მძღოლთა ბრიგადირი.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ — ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲐᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲘ მეცნიერები, ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყველაფერს ღონობენ იმ გეგმებისა და ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც მათ იკისრეს ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 110-ე წლისათვის ღირსეულად აღნიშვნის მიზნით.

ჩვენი დაწესებულება კაუჩუკის მრეწველობის მეთაური ინსტიტუტია, მეცნიერები გულმოდგინედ შრომობენ ახალი ტიპის უმაღლესი ხარისხის კაუჩუკის შესაქმნელად, წარმოებაში მის დასანერგად. ამოცანა ის არის, რომ სახალხო მეურნეობას ნატურალური კაუჩუკის სინთეზური შემცვლელი მივცეთ. გადაწყვეტილი გვაქვს ტექნოლოგიური პროცესების დახვეწის შედეგად 1,5-ჯერ შევამციროთ ელექტროენერგიის ხარჯვა, ხოლო ნავთობქიმიური კომპლექსების დაპროექტებისას და მშენებლობის პროცესში დიდძალი ფულადი სახსრები დავზოგოთ.

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საწარმოო გაერთიანება „ზილის“ შემოქმედებითი ურთიერთობის მაგალითისამებრ, წელს ჩვენმა ინსტიტუტმა სხვადასხვა ორგანიზაციასთან 17 ხელშეკრულება გააფორმა. ყველა ისინი დაკავშირებულია კაუჩუკის და ნავთობქიმიური მრეწველობის შემდგომ განვითარებასთან.

მიღწეული წარმატებები, შთამაგონებელი შრომა, მთელი ჩვენი კოლექტივის შემოქმედებითი აღმავლობა იმის გარანტიაა, რომ ამოცანები, რომლებიც ინსტიტუტმა დაისახა დიდი ლენინის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის, მთლიანად შესრულდება.

Ვ. ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲘ,
მოსკოვის კაუჩუკის სახელმწიფო საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲔᲑᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ — ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 110-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲮᲢᲡ — ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ! — ᲤᲠᲗᲔᲑᲡ ᲨᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲨᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲬᲠᲐᲮᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲓᲠᲝᲗᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲗᲥᲕᲐᲛᲗ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲨᲘ. ᲕᲔᲚᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

მასალები მოამზადეს
Თ. ᲐᲠᲝᲒᲔᲚᲘᲫᲔ, Ш. ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲛᲐ და **Д. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲛᲐ.**

საკდესის ცნობა

ვარშავის ხელშეკრულების წევრ სხვა ქვეყნებთან შეთანხმებითა და კონსულტაციით საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ამა წლის 5 დეკემბერს დაიწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან სსრ კავშირის ტერიტორიაზე 1500 კაცისაგან შედგარი პირველი საბჭოთა სამხედრო შენაერთების გამოყვანა იარაღითა და საბრძოლო ტექნიკითურთ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოცხადებული საბჭოთა ჯარების რიცხვის შემცირება ცენტრალურ ევროპაში დასახული დამთავრდეს 1980 წლის სექტემბერში.

საბჭოთა მთავრობა მადლობას უძღვნის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს, რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობას ძმური მეგობრობის გრძნობისა და სამოკავშირეო სოლიდარობისათვის, რომელიც გამოიჩინეს საბჭოთა მეომრებისადმი სამშობლოში მათ დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის სხდომის შედეგების შესახებ

1979 წლის 4-6 დეკემბერს პოლონეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები, „საერთაშორისო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი. სხდომას თავმჯდომარეობდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ვოიცეხ იარუზელსკი.

თავდაცვის მინისტრების კომიტეტი ერთსულოვნად და მთლიანად უჭერს მხარს ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში 1979 წლის 6 ოქტომბერს წარმოთქმულ სტატიაში. კომიტეტმა განიხილა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მიმდინარე საქმიანობის საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სხდომამ საქმიან ვითარებაში და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულებით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისა და საბჭოთა მილიციის 62-ე წლისთავთან დაკავშირებით მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოვდნენ:

